პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 3 ივლისი, 1943 წ. № 141 (6766). ფასი 20 კაპ.

სტალინური შორსმჭვრეტელობის დიადი ძალა

ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხანაგმა **სტალინმა** რადიოთი წარმოსთქვა ისტორიული სიტყვა, რომლითაც მთელ საბჭოთა ხალხს, წითელ არმიას დაუსახა საბრძოლო მოქმედების დიადი პროგრამა და მოუწოდა ვერაგულად თავდამსხმელი მტრის—გერმანიის ფაშიზმის გასანადგურებლად.

განვლილი ორი წლის მანძილზე საბრძოლო ვითარება და საერთაშორისო ურთიერთობა სწორედ ისე განვითარდნენ, როგორც ეს გენიალურად განჭვრიტა ამხანაგმა სტალინმა. განვლილმა პერიოდმა სავსებით გაამართალა საზოგადოებრივი განვითარების მეცნიერული კანონების საფუძველზე დიდი სტალინის შორსმჭვრეტელობა, და ახლა, სამამულო ომის გადამწყვეტ მომენტში, კვლავ ახალი ძალით გვაჯილდოებს გენიალური მხედართმთავრის მიერ ორი წლის წინათ წარმოთქმული სიტყვის ბრძნული აზრები.

ამხანაგმა სტალინმა გენიალურად განჭვრიტა, რომ ფაშისტური გერმანიის მიერ ხელშეკრულების მუხანათური დარღვევა და საბჭოთა კავშირზე ვერაგული თავდასხმა ხანმოკლე სამხედრო ხელსაყრელობის ეპიზოდი იყო გერმანიისათვის. ამ აქტით გერმანიამ თავისი თავი გამოააშკარავა, როგორც პირსისხლიანმა აგრესორმა, მტერმა წაგო პოლიტიკურად, ხოლო საბჭოთა კავშირის დიდი პოლიტიკური მოგება სერიოზული და ხანგრძლივი ფაქტორია, რომლის საფუძველზედაც გაიშლება წითელი არმიის გადამწყვეტი სამხედრო წარმატებანი.

დიდი ბელადის შორსმჭვრეტელობა სავსებით გამართლდა!

გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის ომი, რომელიც მტერმა თავზე მოგვახვია, ჩვეულებრივი ომი როდია,—ამბობდა ამხანაგი სტალინი. იგი სამკვდრო-სასიცოცხლო, საყოველთაო-სახალხო, დიდი სამამულო ომია კაცობრიობის უბოროტესი მტრის—ჰიტლერული ტირანიის წინააღმდეგ. ამ ომში ჩვენი საქმე სამართლიანია. ამიტომ „ჩვენი ომი ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისათვის შეერთვის ევროპისა და ამერიკის ხალხთა ბრძოლას მათი დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიულ თავისუფლებათათვის. ეს იქნება ერთიანი ფრონტი ხალხებისა, რომელნიც იცავენ თავისუფლებას ჰიტლერის ფაშისტური არმიების მიერ დამონების წინააღმდეგ და დამონების საფრთხის წინააღმდეგ“,—სთქვა ამხანაგმა სტალინმა. ახლა ხალხთა ეს ერთიანი ფრონტი ფაშიზმის წინააღმდეგ ისე მტკიცე და ძლევამოსილია, როგორც არასოდეს არ ყოფილა.

დიდი ბელადის შორსმჭვრეტელობა სავსებით გამართლდა!

ამხანაგმა სტალინმა საბჭოთა ხალხს მოუწოდა სამხედრო ყაიდაზე გარდაექმნა მთელი მუშაობა. შეეგნო მთელი სიღრმე იმ საშიშროებისა, რომელიც ჩვენს ქვეყანას ემუქრება. გაეძლიერებინა სიფხიზლე, გამოეჩინა მამაცობა და გმირობა, უშიშრობა და გამბედაობა მშობლიური მიწა-წყლის დაცვაში. მთელი საბჭოთა ხალხი თავისი საყვარელი ბელადის მოწოდებისთანავე ერთიან სამხედრო ბანაკად დარაზმული აღსდგა მტრის შესამუსრავად. წითელი არმიის პირველმა წარუმატებლობამ კი არ შეარყია, არამედ კიდევ უფრო გააძლიერა ჩვენი ქვეყნის მუშების, გლეხების, ინტელიგენციის კავშირი, მეგობრობა სსრ კავშირის ხალხთა შორის. მან მოაწყო წითელი არმიისადმი მზარდი დახმარება, განამტკიცა მისი ზურგი, ხოლო ბელადის მოწოდებისთანავე შექმნილმა პარტიზანულმა რაზმებმა მტრის მიერ დროებით დაპყრობილ ტერიტორიაზე გაიშალეს სასტიკი პარტიზანული ომი. ამხანაგი სტალინი ამბობდა, რომ ჩვენი ძალები აუოაცხელია. თავგასული მტერი იძულებული იქნებოდა მალე დარწმუნებულიყო ამაში. თავდამსხმელ მტერთან საომრად წითელ არმიასთან ერთად გამოვიდოდნენ მრავალათასობით მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია, აღსდგებოდნენ ჩვენი ხალხის მრავალმილიონიანი მასები.

დიდი ბელადის შორსმჭვრეტელობა სავსებით გამართლდა!

წითელმა არმიამ ჩაჰფუშა ჰიტლერელთა ელვისებური ომის გეგმა, რომელიც ქვეშაზე აგებული აღმოჩნდა, 1941-42 წლის ზამთარში ხელში აიღო ინიციატივა და სასტიკი დამარცხებანი აგემა მტერს. მოსკოვის გმირული დაცვა, დედაქალაქის მისადგომებთან გერმანელების განადგურება გახდა ომის პირველი წლის გადამწყვეტი სამხედრო მოვლენა და გერმანელთა პირველი დიდი დამარცხება მეორე მსოფლიო ომში. გაქარწყლდა ჰიტლერელი ყალთაბანდების მიერ შექმნილი ლეგენდა გერმანიის არმიის უძლეველობის შესახებ. ეს ორი წლის წინათ განჭვრიტა ამხანაგმა სტალინმა.

დიდი ბელადის შორსმჭვრეტელობა სავსებით გამართლდა!

წითელმა არმიამ საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ სტალინის მხედართმთავრობით 1942-1943 წლის ზამთარში გააქარწყლა გერმანელთა ზაფხულის ტაქტიკური წარმატებანი, რასაც მტერმა ევროპაში მეორე ფრონტის არარსებობით მიაღწია, წითელმა არმიამ შეაჩერა მტერი სტალინგრადთან და კავკასიის მთის ძირებში, სტალინგრადის გმირული დაცვის შემდეგ გადავიდა შეტევაზე და ბრწყინვალე გამარჯვებები მოიპოვა. ზამთრის კამპანია მობრუნების პუნქტი გახდა ომის მთელ მსვლელობაში. „გერმანიამ და მისმა მოკავშირეებმა ომის ორი წლის განმავლობაში მოკლულთა და ტყვეთა სახით დაჰკარგეს 6.400.000 ჯარისკაცი და ოფიცერი, დაჰკარგეს ყველა ყალიბის 56.500 ქვემეხი, 42.400 ტანკი, 43.000 თვითმფრინავი“ (საბჭოთა საინფორმაციო ბიურო). ორი წლის ბრძოლებში სავსებით ჩაიშალა ჩვენი ხალხების დასამონებლად ნავარაუდევი ჰიტლერელთა ავანტიურისტული გეგმები, ამასთან, ახლა საფუძვლიანად არის შერყეული გერმანიის სამხედრო ძლიერება, მისი ზურგი, სერიოზულ კრიზისს განიცდის გერმანელ ფაშისტთა არმია, სერიოზულად დასუსტებულია მისი ეკონომიკა, ხოლო ოკუპირებულ ქვეყნებში გაჩაღებულია საყოველთაო-სახალხო ომი ჰიტლერელთა წინააღმდეგ. ფაშისტური სახელმწიფოების კავშირი დაშლის პირას დგას, სწორედ ისე, როგორც ამხანაგმა სტალინმა იწინასწარმეტყველა, ხოლო კიდევ უფრო გაძლიერდა სსრ კავშირის, ინგლისისა და ამერიკის საბრძოლო კავშირი, როგორც ეს გენიალურად განჭვრიტა ამხანაგმა სტალინმა.

დიდი ბელადის შორსმჭვრეტელობა სავსებით გამართლდა!

ჩვენ სამამულო ომის მესამე წელში შევედით. წინ მძიმე ბრძოლები მოგველის. მაგრამ მრისხანე შურისგება დასტრიალებს ფაშისტურ გერმანიას თავზე და ჰიტლერული ტირანიის სრული განადგურება გარდუვალია. საბჭოთა ხალხი დარწმუნებულია თავისი სამართლიანი საქმის გამარჯვებაში. იგი გადამწყვეტ ბრძოლებში წინ მიდის **ლენინ-სტალინის** ძლევამოსილი დროშით, დიდი **სტალინის** ხელმძღვანელობით, და განუხრელად ასრულებს საყვარელი ბელადის მოწოდებას:

„მთელი ჩვენი ძალები—ჩვენი გმირი წითელი არმიის, ჩვენი სახელოვანი წითელი ფლოტის დასახმარებლად!

ხალხის მთელი ძალები—მტრის გასანადგურებლად!

წინ, ჩვენი გამარჯვებისათვის!“

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

2 ივლისის დილის ცნობა

1 ივლისის ღამის განმავლობაში ფრონტზე არსებითი არაფერი მომხდარა.

* * *

ჩვენი შორმოქმედი ავიაცია 30 ივნისს ღამით თავს დაესხა ნავსადგურებს ქერჩსა და სენნაიას (30 კილომეტრზე ტემრიუკის დასავლეთით). ნავსადგურებში მყოფ მტრის გემებსა და საწყობებს მნიშვნელოვანი რაოდენობით დავაყარეთ ფუგასური და ცეცხლგამჩენი ბომბები. ყველა ჩვენი თვითმფრინავი თავის აეროდრომზე დაბრუნდა.

* * *

დასავლეთის ფრონტზე 6 ნაწილის მზვერავებმა ღამით ჭობები განვლეს და გერმანელთა სანგრებში შეიჭრნენ. ავტომატების ცეცხლითა და გრანატებით ჩვენმა მებრძოლებმა გასწყვიტეს ჰიტლერელთა ჯგუფი და მშვიდობით დაბრუნდნენ თავიანთ ნაწილში.

* * *

სევსკის რაიონში იმ ქვეგანაყოფის 18 სნაიპერმა, რომლის მეთაურიც არის მაიორი კონცედალოვი, უკანასკნელ ხანს 136 გერმანელი დახოცა. სერჟანტმა ამხ. სლიუსარმა მოჰკლა 40 ჰიტლერელი, წითელარმიელმა ამხ. მიტინმა კი 36 გერმანელი მოსპო.

* * *

ბელგოროდის რაიონში მზვერავმა გვარდიელებმა ამხ. სკრიაბინმა, კოსტიჩევმა და ლოკტევმა ღამით ჩუმად შეაღწიეს მტრის განლაგებაში, გერმანელთა ბლინდაჟთან მივიდნენ და ღია კარში ორი გრანატი შეაგდეს. ამ დროს ლოკტევს თავს დაესხა ორი გერმანელი და ცდილობდა ტყვედ წაეყვანა იგი. ლოკტევს მიეშველნენ მისი ამხანაგები და ჰიტლერელები დახოცეს. გერმანელ ჯარისკაცთა დიდი ჯგუფი ცდილობდა უკანდასახევი გზა მოეჭრა და გარს შემორტყმოდა მამაცებს. მზვერავები უკანდახევისას ესროდნენ შემომტევ ჰიტლერელებს და მშვიდობიანად დაბრუნდნენ თავიანთი ქვეგანაყოფის განლაგებაში.

* * *

კალინინის ფრონტის ერთ უბანზე მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარის ასეულმა იერიში მოიტანა ჩვენს საბრძოლო დაცვაზე. ოცეულის მეთაური ლეიტენანტი ამხ. იგლოვიკოვი და მებრძოლთა ჯგუფი ბრძოლაში ჩაებნენ ჰიტლერელების წინააღმდეგ. ჩვენმა მებრძოლებმა მოიგერიეს მტრის იერიში და მოჰკლეს გერმანელი ოფიცერი და მტრის 30-მდე ჯარისკაცი.

* * *

ვოლხოვის ფრონტზე ჩვენმა სნაიპერებმა ივნისის განმავლობაში მტრის 2.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დახოცეს. სნაიპერმა სერჟანტმა რეშეტოვმა მოსპო 23 ჰიტლერელი, სერჟანტმა ტრეგერმა—18, სერჟანტმა პარომოვმა—50, წითელარმიელმა ოუხამბაევმა—18, სერჟანტმა ანოხინმა კი 20 გერმანელი დახოცა.

* * *

ორიოლის ოლქში მოქმედმა ორმა პარტიზანულმა რაზმმა გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთა დიდ ძალებთან სამი დღის ბრძოლაში მტრის 200-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი მოსპო. პარტიზანებმა ხელთ იგდეს ქვემეხი, 15 ტყვიამფრქვევი, 110 შაშხანა და ბევრი საომარი მასალა. სუვოროვის სახელობის რაზმის პარტიზანთა ჯგუფმა ლიანდაგიდან გადაადგო მტრის ეშელონი. დამტვრეულია ორთქლმავალი, 9 ვაგონი და 24 პლატფორმა.

* * *

გერმანელთა შორიმოქმედების მზვერავთა 121-ე ესკადრის ტყვედ წამოყვანილმა მფრინავმა იოჰან ლ-მ განაცხადა: „უკანასკნელ თვეებში გესტაპო დაპატიმრებას ახდენს გერმანიის არმიის სამხედრო მოსამსახურეთა შორის. შორიმოქმედების მზვერავთა მეორე სარეზერვო რაზმში ამას წინათ დააპატიმრეს ენტერ-ოფიცერი პერნერი იმისათვის, რომ მან კერძო საუბარში სთქვა, გერმანია ომს წააგებსო. მაისის თვიდან საკონცენტრაციო ბანაკშია მოთავსებული წყალქვეშა ნავის მეთაური, რომელმაც უარი სთქვა ომის განგრძობაზე. იმავე თვეში საკონცენტრაციო ბანაკში მოიყვანეს წყალქვეშა ნავის ეკიპაჟი, რომელმაც ზღვაში თავისი მეთაური მოჰკლა“.

* * *

ბერტრის ოლქში (ბელგიის ლუქსემბურგი) პატრიოტებმა მწყობრიდან გამოიყვანეს 42 ორთქლმავალი. ნინოვ-გრამონის რკინიგზის უბანზე თავისუფალმა მსროლელებმა მოაწყეს „სს“-ელთა ეშელონისა და სატვირთო მატარებლის დაჯახება. მარცხის დროს მოკლული და დაჭრილია ბევრი ჰიტლერელი. ლიმბურგის პროვინციაში პატრიოტებმა ააფეთქეს ფურაჟის დიდი საწყობი. მერქსენში თავისუფალმა მსროლელებმა რამდენიმე გრანატი შეაგდეს იმ სახლში, რომელშიც გერმანელი ფაშისტ ოკუპანტები იდგნენ.

2 ივლისის საღამოს ცნობა

2 ივლისის განმავლობაში ფრონტზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

დასავლეთის ფრონტის ერთ უბანზე ჩვენმა მზვერავთა რაზმმა იერიში მიიტანა მტრის პოზიციებზე. ეს პოზიციები განლაგებული იყო მაღლობზე, რომელიც ირგვლივ ადგილმდებარეობაზე ბატონობს. როცა მტრის საცეცხლე წერტილების უმეტესი ნაწილი ჩაჩუმებულ იქნა ჩვენი არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ზიერ, საბჭოთა ქვეითები შეიჭრნენ გერმანელთა სანგრებში და ბრძოლის შედეგად დაიკავეს ისინი. მოწინააღმდეგემ თავი მოუყარა დამხმარე ძალებს მეზობელი უბნებიდან და რამდენიმე საათის განმავლობაში ზედიზედ მოიტანა 6 გააფთრებული კონტრიერიში. გერმანელთა ყველა კონტრიერიშმ მოგერიებულ იქნა ჩვენი ქვეგანაყოფების თოფ-ტყვიამფრქვევისა და არტილერიის ორგანიზებული ცეცხლით. მზვერავმა რაზმმა ამ ბრძოლაში მტრის 600-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი მოსპო, წარმატებით შეასრულა დასახული ამოცანა და თავდაპირველ პოზიციებზე დაბრუნდა. წამოღებულია დაცლა და წამოყვანილია ტყვეები.

* * *

ბელგოროდის რაიონში გვარდიის სანაღმტყორცნო ქვეგანაყოფმა, რომლის მეთაურიც არის გვარდიის კაპიტანი ივანოვი და რომელიც ხელს უწყობდა მზვერავთა მოქმედებას, მოსპო გერმანელთა 5 საცეცხლე წერტილი, დაანგრია 2 ძელმიწური საცეცხლე წერტილი და გაუელიტა ერთ ოცეულამდე ჰიტლერელი. გვარდიის უმცროსმა ლეიტენანტმა ჩუდნოვმა და გვარდიის წითელარმიელმა ორლოვმა ხელის ტყვიამფრქვევისა და ნახევრადავტომატური შაშხანის სროლა აუტეხეს გერმანელთა ბომბდამშენ „იუნკერს-88“-ს. თვითმფრინავს ცეცხლი წაეკიდა და მიწაზე ჩამოვარდა.

* * *

ბალაკლეის სამხრეთით 6 ნაწილის არტილერისტებმა მოსპეს გერმანელთა ტანკი, რომელიც ჩვენს წინა კიდეს მოუახლოვდა. სხვა უბანზე არტილერისტებმა სროლა აუტეხეს მოწინააღმდეგის კოლონას და მოსპეს 13 ავტომანქანა და 20-მდე საზიდარი ტვირთიანად.

* * *

კარელიის ფრონტზე ქვეგანაყოფმა კაპიტან კასპერის მეთაურობით შეაღწია მოწინააღმდეგის ზურგში და ჩასაფრდა. რამდენიმე ხნის შემდეგ გამოჩნდა 40 გერმანელისაგან შემდგარი ჯგუფი. ჩვენი მებრძოლები გარსშემოერტყნენ მათ, მოსპეს 34 ჰიტლერელი, ხოლო სხვები ტყვედ ჩაიგდეს. სხვა უბანზე იმ ქვეგანაყოფის მებრძოლები, რომლის მეთაურიც არის ამხ. ჩერნუხა, მოწინააღმდეგის სანგრებში შეიჭრნენ და 20 თვითფრინველი გაჟლიტეს.

* * *

მინსკის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა მოსპო გერმანელთა გარნიზონი, რომელიც დიდ დასახლებულ პუნქტში იდგა. მოკლულია მტრის 150 ჯარისკაცი და ოფიცერი. წამოიღეს 20 შაშხანა, 10 ტყვიამფრქვევი, 15.000 ვაზნა და სხვა დაცლა. ამ რაზმის პარტიზანთა ჯგუფმა შეაღწია მოწინააღმდეგის აეროდრომზე და დაწვა 5 თვითმფრინავი. ამ დროებში ოსტბიზ გარსშემოერტყნენ ჰიტლერელების მიერ დაკავებულ სოფელს და წინადადება მისცა გარნიზონს—დანებებულიყო. 67-მა გერმანელმა ჯარისკაცმა იარაღი დაჭყარა და წამოყვანილია ტყვედ. დანარჩენმა ჰიტლერელებმა წინააღმდეგობა გაგრძელეს და მოსობილ იქნენ.

* * *

ლენინგრადის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე წითელი არმიის მხარეზე გადმოვიდა გერმანელთა 58-ე ქვეითი დივიზიის ჯარისკაცი, ეროვნებით პოლონელი, ბოლესლავ მ. გადმოსულმა განაცხადა: „მე პოლონეთის არმიაში ვმსახურობდი და 1939 წლის სექტემბერში ტყვედ ჩამიგდეს გერმანელებმა. დიდხანს ვიმყოფებოდი საკონცენტრაციო ბანაკებში ვალდენბურგსა და ნიბრანდენბურგში. ბანაკებში გერმანელები ყოველნაირად აბუჩად გვიგდებდნენ. ჩემს თვალწინ ჰიტლერულ მკვლელთა ხელით დაიღუპა ასობით პოლონელი. ბანდიტებმა წამებით მოჰკლეს ჩემი ბიძაშვილი იოზეფ ვოიცეხოვსკიც. შიშმილმა და წამებამ გასტეხა და იგი ავად გახდა. ავადმყოფ ვოიცეხოვსკის ჰიტლერელები აიძულებდნენ ერთი ადგილიდან მეორეზე სუფრის კოვზით ეზიდა ქვიშის ზვრები. ამ უაზრო მუშაობაში მოკვდა კიდეც იგი. გერმანელებს უნდოდათ მოესპოთ პოლონელი ხალხი, პირისაგან მიწისა აღეგავათ პოლონეთი. წინათ ისინი აშკარად ამბობდნენ და სწერდნენ, პოლონელთა ხვედრია გერმანელების მონად ყოფნაო, ახლა კი, როცა რუსებმა მძიმე დამარცხებანი აგემეს ჰიტლერს, მას მოაგონდა პოლონელები და დაიწყო მათი შესობრივად გაწვევა არმიაში. ჰიტლერს სურს, რომ იმ პოლონელებმა, რომელთა მამები და ძმებიც გერმანელებმა წამებით დახოცეს საკონცენტრაციო ბანაკებში დახაოში, ოსვენციმსა და სხვა ადგილებში, გერმანელთათვის ღვარონ თავისი სისხლი. მაგრამ ეს არ მოხდება“.

* * *

ფრანგი პატრიოტები განუწყვეტლივ დარტყმებს აგემებენ გერმანელ დამპყრობთ. ტულონში თავისუფალმა მსროლელებმა დაწვეს 7 ცისტერნა ნავთიანად. ლიონის მიდამოებში ფრანგებმა წყალსაწნეები კოშკი ააფეთქეს. გრენობლის სამხედრო ქარხანაში პატრიოტებმა მწყობრიდან გამოიყვანეს 4 ტრანსფორმატორი. ზემო სავოიის ქარხნებსა და ელექტროსადგურებში ერთი თვის მანძილზე აღნიშნულია საბოტაჟის 122 აქტი.

ჩვენი ავიაციის თავდასხმა ქერჩზე, ზამანსა და სენნაიაზე

30 ივნისს ღამით და 1 ივლისს ღამით ჩვენი შორმოქმედი ავიაცია თავს დაესხა ნავსადგურებს ქერჩს, ტამანსა და სენნაიას (30 კილომეტრზე ტემრიუკის დასავლეთით). დაბომბილ იქნა მოწინააღმდეგის გემები, რომლებიც ამ ნავსადგურებში იდგა, საწყობები და გერმანელთა თავმოყრილი ჯარები. დაბომბვის შედეგად გაჩნდა ხანძრები და მოხდა აფეთქებანი. მოთვალთვალეებმა აღნიშნეს, რომ ბომბები მოხვდა გემებს და ბომბები დაიცა უშუალოდ ახლოს გემებთან, ამის შედეგად რამდენიმე გემი ჩაიძირა, სხვები კი სერიოზულად დაზიანდა. ყველა ჩვენი თვითმფრინავი თავიანთ აეროდრომებზე დაბრუნდა.

სამი საღამსჯელო ექსპედიცია სოფელ ლეონოვოში

მოქმედი არმია, 30 ივნისი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). წითელარმიელმა გაზეთმა „ბოევოი ნატისკმა“ გადმოქვეყნა აქტი ფაშისტთა მიერ სმოლენსკის ოლქის საფონოვის რაიონის სოფელ ლეონოვოში ჩადენილ საშინელ ბოროტმოქმედებათა შესახებ.

ამ სოფელში სამჯერ იყვნენ გერმანელთა სადამსჯელო რაზმები. 1942 წლის 27 აგვისტოს იქ მივიდა პირველი რაზმი. გერმანელებმა სოფლის ყველა მცხოვრები ფარდულში შერეკეს და ჯარისკაცები შეუდგნენ საერთო ძარცვას. ჰიტლერელებმა წაიღეს კოლმეურნეთა პირადი ნივთები და გაირეკეს მთელი პირუტყვი. რამდენიმე ქალს საზიზღარი ძალადობა მიაყენეს. ამის შემდეგ დამსჯელებმა სოფელს ორი მხრიდან წაუკიდეს ცეცხლი. ყველა 130 კოლმეურნე საეზოებიანად მთლად გადაიბუგა.

1942 წლის სექტემბერში სოფელ ლეონოვოს მცხოვრებნი მათ მიერ გათხრილ მიწურებში მოთავსდნენ.

1942 წლის ოქტომბერში აქ მეორედ მოვიდა სადამსჯელო რაზმი. დამსჯელებმა შეიპყრეს სამი კოლმეურნე ქალი: ნატალია ნოვიკოვა 28 წლისა, ქსენია ნოვიკოვა 58 წლისა და მარიამ სოჩნევა 29 წლისა, დახვრიტეს ისინი და ცეცხლმოდებულ აბანოში შეაგდეს. ამავე დღეს ჰიტლერელებმა დასჭრეს ავადმყოფი მოხუცი ქალი ეკატერინა ლოსევა და 6 წლის გოგონა ზინაიდა სოჩნევა. მცხოვრებთ წაართვეს უკანასკნელი ლონეება.

1943 წლის 29 იანვარს გერმანელი დამსჯელები მესამედ შეიჭრნენ სოფელში. მათ მიწურებიდან გამორეკეს ყველა მცხოვრები, გადაიღეს მათი სურათი და ჩირგვნარში წაიყვანეს. აქ დაიწყო ანგარიშის მხეცური გასწორება. სოფლის ყველა მცხოვრები—250 კაცი—დახვრეტილ იქნა. გერმანელებმა არ შეიბრალეს არც მოხუცები და არც ძუძუთა ბავშვები, ზურგში ესროდნენ ხალხს და 15-20 კაცის შემადგენლობით ჯგუფობრივად ხვრეტდნენ. დედებს ხოცავდნენ ძუძუთა ბავშვებთან ერთად. ხანდ დაიღუპნენ ნატალია გოროხაროვა და მისი ძუძუთა ბავშვი ვიტია ტატიანა ივანკოვა და მისი ვაჟი კოლია, ანა ლაზუკინა და მისი ვაჟი გრიშა და ბევრი სხვანი.

მოსახლეობის მასობრივი დახვრეტის დროს გადარჩენა მოახერხა სოფლის მხოლოდ ხუთმა მცხოვრებმა. მძიმედ დაჭრილნი ლიდია ივანოვა, მარიამ ნოვიკოვა, პეტრე ნოვიკოვი, ოლგა კოსარევა და მისი ქალიშვილი ტაისია რამდენიმე საათის განმავლობაში იწვნენ დახოცილთა შორის, ხოლო საღამოს ტყეში გადახდნენ და იქ იმალებოდნენ წითელი არმიის მისვლამდე.

1 თებერვალს გერმანელებმა მათ მიერ დახვრეტილი საბჭოთა მოქალაქეების გვამებს ბენზინი გადაასხეს და დასწვეს. ამავე დღეს მათ ააფეთქეს და დასწვეს ყველა მიწური, რათა მიეჩქმალათ თავიანთ დანაშაულობათა კვალი.

ე. კოტრიანიჩევი

მებრძოლის მოსაზრებულობა

დასავლეთის ფრონტი, 29 ივნისი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ორ მარტო ბრძოლის დღეებში, არამედ ფრონტზე სიწყნარის დროსაც მრავალია ჩვენი ჯარების გმირობის მაგალითი. ამ დღეებში მებრძოლთა მცირე ჯგუფს გერმანელი მზვერავების თავდასხმის მოგერიება მოუხდა. ჰიტლერელებმა მოახერხეს ტყვედ ჩაეგდოთ დაჭრილი წითელარმიელი ვინოგრადოვი, რომელსაც გრძნობა დაკარგოდა. როცა მებრძოლი გონს მოვიდა, მიხვდა, რომ ტყვედ ჩავარდნილიყო. მან დადასწყვიტა რადაც უნდა დასჯდომოდა განთავისუფლებულიყო ტყვეობიდან.

ვინოგრადოვმა ფრთხილად მოისვა ხელი ჩანთაზე. გრანატები თავის ადგილას აღმოჩნდა. ვინოგრადოვმა მოულოდნელად გაიწია, ხელიდან გაუსხლტა გერმანელებს, განზე გადახტა, გრანატი ამოიღო და ჰიტლერელებს სტყორცნა. ხუთი ჯარისკაცი მიწაზე დაეცა. ვინოგრადოვმა კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გაირბინა განზე და მეორე გრანატი ისროლა. სანამ გერმანელები გონს მოვიდოდნენ, მებრძოლმა მოასწარო მიბანცა.

ვინოგრადოვი მშვიდობით დაბრუნდა თავის ქვეგანაყოფში.

საბჭოთა კავშირში

კოლმეურნეებს აღსანაზღაურად აპყავთ ბავშვები. რომლებმაც მშობლები დაკარგეს

როდნიკოვის რაიონის ოსტრეცოვის კოლმეურნეობის წევრებმა, რომლებიც ინიციატორები არიან განთავისუფლებულ რაიონებში მეცხოველეობის ფერმების აღდგენის საქმისათვის დახმარების აღმოჩენისა,—გადაწყვიტეს აღსაზრდელად აიყვანონ სმოლენსკის ოლქის სიროეკის რაიონის 25 ბავშვი, რომლებმაც მშობლები დაკარგეს სამამულო ომის დროს.

როდნიკოვის რაიონის კოლმეურნეებმა მიაბაძეს ოსტრეცოველთა მაგალითს და აღსაზრდელად აპყავთ 200-მდე ბავშვი. (საკდესი).

მემანქანე პაპაპეინის შესანიშნავი წარმატება

იაროსლავლის რკინიგზის წარჩინებულმა მემანქანემ ა. პ. პაპაპეინმა სამგზავრო მატარებლის ორთქმავლით კაპიტალური რემონტის გაუკეთებლად გაიარა 1.148.000. კილომეტრი, ნორმა კი არის 390.000 კილომეტრი.

ამხ. პაპაპეინი თავის ორთქმავალზე მეგზავრობს. ამ ხნის განმავლობაში მისი ორთქმავალი ერთხელაც არ ყოფილა კაპიტალურ რემონტში და ახლაც საკმაოდ ეარგისება. (საკდესი).

წიგნები ბავშვებისათვის

საბავშვო ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ წელს გამოუშვა 40-მდე სახელწოდების წიგნი 1 მილიონ ცალზე მეტი საერთო ტირაჟით.

ყველა ასაკის ბავშვებისათვის გამოცემულია წიგნები სამამულო ომზე, ფრონტისა და ზურგის მგრძელზე, აგრეთვე სერია „მოსწავლის ისტორიული ბიბლიოთეკა“, რომელშიც შეეიდნენ ს. ფოლუბოვის „გენერალი ბაგრატიონი“ და ბ. მურატოვის „დიდი გზის პირველი გამომკვლევნი“.

ბევრი წიგნი გამოვიდა უფროსი ასაკის ბავშვებისა და სასკოლო ბიბლიოთეკებისათვის.

უმცროსი ასაკის ბავშვებისათვის გამოვიდა უხვად დასურათებული წიგნები ს. მარშაკის, ს. მიხალკოვის ლექსებისა, რამდენიმე კრებული და სხვა წიგნები. (საკდესი).

სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება

ნახევარი წლის გეგმები ვადამდე შეასრულეს

თბილისის კუიბიშევის სახელობის ხისდამამუშავებელი ქარხნის კოლექტივმა საერთო პროდუქციის გამოშვების ნახევარი წლის გეგმა 28 ივნისისათვის გადაჭარბებით შეასრულა. ივნისის დავალება 29 ივნისისათვის 103,2 პროცენტით არის განაღდებული. ქარხანამ ნახევარი წლის მანძილზე 15 პროცენტით დაზოგა ელექტროენერგია და 60 კუბმეტრი მასალის ეკონომია გასწია.

* * *

ფაბრიციუსის სახელობის ხისდამამუშავებელი სახელოსნოების ბუშაკთა კოლექტივმა მაისსა და ივნისში მნიშვნელოვნად გაუმჯობესა მუშაობა და ვადაზე 7 დღით ადრე შეასრულა ნახევარი წლის გეგმა.

* * *

ლუდ-ლიმონათის ტრესტის თბილისის ლიმონათის ქარხნის კოლექტივმა პროდუქციის გამომუშავების ნახევარი წლის გეგმა 25 ივნისისათვის გადაჭარბებით შეასრულა. წარმატებით არის განაღდებული ივნისის თვის საწარმოო დავალებაც. ნახევარი წლის განმავლობაში ქარხანამ ელექტროენერგია 30 პროცენტით დაზოგა.

* * *

ცხაკაია („კომუნისტის“ ხაკ. კორ.). ცხაკაიას ხე-ტყის მრეწველობამ 1943 წლის პირველი ნახევრის საწარმოო გეგმა ვადაზე 10 დღით ადრე გადაჭარბებით შეასრულა. 1943 წლის პირველი ნახევრის საწარმოო-საფინანსო გეგმა ვადაზე 20 დღით ადრე დიდი გადამეტებით შეასრულა ქ. ცხაკაიის ღვინოარაყის ქარხანამ.

ხ. ჯუბანა

სარაჯოვი

საბჭოთა კავშირის გმირის გენერალ-მაიორ ა. ი. ლიზიუკოვის სახელობის სარატოვის 1-ლი წითელდროშოვანი წითელი ვარსკვლავის ორდენოსანი სატანკო სასწავლებლის უფროსს

პოლკოვნიკ ამხ. საფონოვს

ვუსურვებ საბჭოთა კავშირის გმირის გენერალ-მაიორ ა. ი. ლიზიუკოვის სახელობის სარატოვის 1-ლი წითელდროშოვანი წითელი ვარსკვლავის ორდენოსანი სატანკო სასწავლებლის მეთაურთა, წითელარმიელთა და ნებით დაქირავებულთა შემადგენლობას 25 წლისთავს, მთავრობის მაღალ ჯილდოებს და ვუსურვებ ახალ წარმატებებს სატანკო ჯარების მეთაურთა კადრების მომზადების საქმეში.

თავდაცვის სახალხო კომისარი საბჭოთა კავშირის მარშალი

ი. სტალინი

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მებრძოლი საფრანგეთის ჯარის ნაწილის „ნორმანდიის“ ოფიცერთა შემადგენლობის ორდენებით დაჯილდოების შესახებ

სამამულო ომის I ხარისხის ორდენით

1. მაიორი ჟან ლუი **ტიულიანი**
2. კაპიტანი ალბერტ **ლიტოლფი.**

სამამულო ომის II ხარისხის ორდენით

1. ლეიტენანტი ალბერტ **დიურანი**
2. ლეიტენანტი მარსელ **ლეფევერი**
3. ადჟიუდან-შეფი ლუი **დიუპრა.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გოტრინი.

მოსკოვი, კრემლი. 1943 წ. 2 ივლისი.

მამაცი მზვერავი იოსებ გამრეკელი

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

ნ წითელარმიულ გზაზეში დაბეჭდილია კორესპონდენტია წითელარმიელ იოსებ გამრეკელს შესახებ. იოსებ გამრეკელი ჭრილობის შემდეგ ახლახან დაბრუნდა ფრონტზე თავის მშობლიურ გვარდიულ ნაწილში, სადაც იგი საუკეთესო მზვერავად ითვლება. მის ანგარიშზე ირიცხება რამდენიმე ათეული „მოენ“, რომლებიც მან მოპყავდა შტაბში ყოველთვის დიდი წარმატებით თავისი ორი მებრძოლი ამხანაგის—უკრაინელების ტარას შაპოვალენკოს და გრიგოლ კიკალოს დახმარებით. გამრეკელს სიხარულით შეხვდნენ თავის ნაწილში, სადაც მან იპოვნა მრავალი თავისი ამხანაგი, რომლებთანაც

უხვი სამხედრო მოსავალი ავიღოთ სწრაფად და უდანაკარგოდ

ზუგდიდის ჩაის პლანგაციებში

ზუგდიდი („კომუნისტის“ ხაე. კორ.). კოლმეურნეები პატრიოტული ენტუზიაზმით შრომობენ, რათა ფრონტსა და ჩვენს ქვეყანას მისცენ რაც შეიძლება მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები. კოლმეურნეობა „ინგირის“ წევრმა ლენინის ორდენოსანმა ქიონია სარსანიამ წელს მაისსა და ივნისში უკვე მოჰკრიფა 8.000-მდე კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, ესე იგი მთელი კოლმეურნეობის ორთვიური გეგმის ერთი მეთხუთმეტედი. დღეში 100-200 კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს ჰკრეფენ სტახანოველები: შურა გაბელაია, ქუჩუჩი ქარჩავა, შურა ჭაკუა, მარო ჯოფუა, ვენერა ჭეკია და ბევრი სხვა.

ახალსოფლის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ორდენოსანი ა. როგავა) გამოვლინებულია ჩაის კრეფის 50-მდე სტახანოველი, რომლებიც დღიურ ნორმებს 200-500 პროცენტით ასრულებენ. მათ შორის: 15 წლის შუხა ფაჟავა, ნადია ფონია, ვენერა ყუფუნია. ამ მეურნეობაში ორი თვეა ჩაის სანიმუშოდ მოვლისა და კრეფისათვის გარდამავალ წითელ დროშას ინარჩუნებს № 1 ბრიგადა, რომელსაც საკ. კ. პ. (ბ) წევრი თამარ ყუფუნია ხელმძღვანელობს. კოლმეურნეობამ გადაჭარბებით შეასრულა რა მაისისა და ივნისის კრეფის გეგმები, უზრუნველჰყო 93 პროცენტი პირველხარისხოვანი ფოთლის ჩაბარება.

ჩაის კრეფაში მოწინავენი არიან აგრეთვე სოფ. ორჯონიკიძის ორჯონიკიძის სახელობის. სოფ. აბასთუმნის ბერიას სახელობის, სოფ. რიყის შმიდტის სახელობის კოლმეურნეობები და სოფ. ჭადუაშის კოლმეურნეობა.

ჩაის კრეფეს გეგმებს წარმატებით ასრულებს ინგირის ლ. ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი ორდენოსანი ამხ. დ. ნიკოლაიშვილი). მეურნეობამ წელს უკვე მოჰკრიფა 500 ტონაზე მეტი ჩაის მწვანე ფოთოლი. ამავე დროს პირველი ხარისხის ფოთოლი ნაცვლად 49 პროცენტისა 63 პროცენტს შეადგენს. მესამე ხარისხისა კი —35 პროცენტის ნაცვლად—14 პროცენტს. გეგმის შესრულებაში წინ არიან პირველი (უფროსი ამხ. ვ. გეთია) და მესამე (უფროსი ამხ. ჰ. აკობია) რაიონები. საბჭოთა მეურნეობაში ამჟამად 182 სტახანოველია. მათ შორის ტანია გოგოლევა, ქსენია ჩენიავსკაია, ევდოკია ნიკულინა, ანა კლიმენტოვა, ლუბა გეთია, ლუბა ახობაძე დღეში 100-350 კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს ჰკრეფენ და საშუალოდ დღიურ ნორმებს 1.600 და მეტი პროცენტით ასრულებენ. მთლიანად მეურნეობაში შორშან თითოეული მუშა დღეში საშუალოდ 22 კილოგრამ ჩაის ფოთოლს ჰკრეფდა, წელს კი ჰკრეფს 28,5 კილოგრამს. წელს მეურნეობაში ჩაის კრეფაზე გამოყენებულია 228 მოზარდი და 23 დისახლისი. მოზარდი ეკატ. ანისიმოვა დღეში 70-80 კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს ჰკრეფს და დღიურ ნორმებს 300-350 პროცენტით ასრულებს.

მაგრამ ჩაის კრეფაში საბჭოთა მეურნეობას აქვს ნაკლოვანებანიც. წელს ჩაის კრეფის წესების დარღვევას ადგილი ჰქონდა მეურნეობის თითქმის ყველა რაიონში და ყველა ბრიგადაში. კერძოდ, № 28 ბრიგადაში, რომელსაც მოხ. როზმანი ხელმძღვანელობს, წელს ხუთჯერ დაარღვიეს კრეფის წესი. ეს ნაკლოვანებანი მეურნეობას რომ დროზე გამოესწორებინა, პირველი ხარისხის ფოთოლი ბევრად მეტი იქნებოდა.

ჩაის კრეფაში ზოგიერთი კოლმეურნეობაც ჩამორჩა. მაგალითად, სოფ. კორკეტელის XVII პარტყრილობის სახელობის (თავმჯდომარე ე. ლაშხია), სოფ. ოქტომბრის მიქიანის სახელობის (თავმჯდომარე ალ. პერტაძია), აგრეთვე სოფ. გრიგოლაშის კოლმეურნეობებს დაავალებები 50-70 პროცენტზე მეტად არ შეუსრულებიათ. სოფ. ორჯონიკიძის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის № 9 ბრიგადაში აგროწესებიც დაარღვიეს—აგროტექნიკის როგავას დაუდევრობით ბუჩქებს ფოთლები თითქმის მთლიანად შეაცალეს და სხვადასხვა ხარისხის ფოთოლი ერთმანეთში აურიეს.

კრეფის გეგმები წარმატებით შევასრულოთ ყველა კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, ბრიგადაში, რგოლში—ასეთია საბრძოლო ამოცანა.

ტრ. თოდრაძე

მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის

ბათუმი („კომუნისტის“ ხაკ. კორ.). კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოზარდეულის შენარჩუნებისა და საქონლის სულადობის გადიდების ღონისძიებათა შესახებ სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხორციელებისათვის ბრძოლაში, სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებისა და მუშაობის საომარ ყაიდაზე გარდაქმნის შედეგად, აჭარაში გარკვეული წარმატებებია მოპოვებული.

საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობა 1942 წლის გამავლობაში გაიზარდა 7,4 პროცენტით, საგრძნობლად იმატა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, წვრილფეხა რქიანი პირუტყვის, ფუტკრისა და ფრინველის სულადობამ. ძროხებისა და ფურა-კამეჩების დაკომპლექტების გეგმა შესრულებულია 177,8 პროცენტით, დედათხისა და ცხვრის—256 პროცენტით.

გაიზარდა მეცხოველეობის საკვები ბაზა. უხეში საკვების დამზადების გეგმა აჭარის კოლმეურნეობებმა გასულ წელს 102,5 პროცენტით შეასრულეს, წვნიანი საკვებისა—111 პროცენტით.

განსაკუთრებული აღმავლობა მეცხოველეობის საქმეს დაეტყო მიმდინარე წელს. საქონლის სულადობის 1943 წლის გეგმა 1 ივნისისათვის უკვე შესრულდა 95 პროცენტით. განსაკუთრებით ამიტა ლორავის სულადობამ.

ხულოს, რაიონის სოფ. გოგაძეების ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში საშუალო წლიური წველადობა აყვანილია 740 ლიტრამდე. ამ კოლმეურნეობაში საუკეთესოდ არის მოვლილი პირუტყვი, ლიკვიდირებულია ბერწობის შემთხვევები და ნამატი შენარჩუნებულია უდანაკარგოდ.

მეცხოველეობის საქმე კარგად არის დაყენებული სოფ. ადაქვების, სტეფანწმინდელების, აღმეს, წონიარისის, ურეხისა და მუხაისტატის კოლმეურნეობებში.

ნ. პაიჭაძე

პირველ განალექ მარცვლეულს სახელმწიფოს აბარებენ

ლაგოდეხი („კომუნისტის“ ხაკ. კორ.). რაიონში დამთავრდა ქერის მოსავლის აღება. ახლა გაცხოველებით მიმდინარეობს პურის აღება და სახელმწიფოსთვის მარცვლეულის ჩაბარება. 1 ივლისისათვის რაიონში პური აღებული იყო 5.733 ჰექტარზე. თავთავი აკრეფილია 31.490 კილოგრამი. მოსავლის აღება 1 ივლისისათვის—10 სამუშაო დღეში დაამთავრეს სოფ. ყარსუბნის კარლ ლიბკნეხტის სახელობის (თავმჯდომარე ბიწაძე) კოლმეურნეობამ და სოფ. ჩადუნიანის კოლმეურნეობა „წითელმა დროშამ“ (თავმჯდომარე ფედორენკო) მოსავლის აღებას 10 სამუშაო დღეში ამთავრებენ ავრეთვე სოფ. ყარსუბნის ჩარკვიანის სახელობის. სოფ. ორჯონიკიძის ბერიას სახელობის კოლმეურნეობები და აფენის კოლმეურნეობა „ლენინის სხივნა“.

მოსავლის აღება წარმატებით მიმდინარეობს სოფ. შრომის და მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებში. კოლმეურნეობები პირველ განალექ მარცვლეულს სახელმწიფოს აბარებენ. უკვე ჩაბარებულია ქერი 29.000 კილოგრამი და პური 65.000 კილოგრამი. კოლმეურნეობა „შრომამ“ (თავმჯდომარე სამარგველიანი) რაიონში პირველმა 30 ივნისისათვის მთლიანად დაამთავრა სახელმწიფოსათვის პურის სავალდებულო ჩაბარება. ასევე წარმატებით აბარებენ სახელმწიფოს მარცვლეულს ბუდიონის, ძერჟინსკის, მაჭუხის გორკის სახელობის და მთელი რიგი სხვა კოლმეურნეობები.

ვ. ცირეკიძე

გეგმების შესრულება

წყალტუბოს რაიონის კოლმეურნეობებმა 1 ივლისისათვის მსხვილფეხა რქიანი საქონლის სულადობის განვითარების 1943 წლის სახელმწიფო გეგმა 100,7 პროცენტით შეასრულეს. ნაცვლად 8.620 სულისა მოშენებულია 8.687 სული საქონელი. კოლმეურნეობებში გაშლილია მუშაობა საქონლის საკვები ბაზის შექმნის, საზამთრო ბინების მშენებლობისა და კეთილმოწყობისათვის.

საქ. კ. პ. (ბ) წყალტუბოს რაიკომის მდივანი ტ. ოგ. ოგნიძე
რაიხალკომის თავმჯდომარე ბიბილეიშვილი

* * *

სამტრედია („კომუნისტის“ ხაკ. კორ.). სამტრედიის რაიონის კოლმეურნეობებმა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის ივნისის გეგმა 1 ივლისისათვის წარმატებით შეასრულეს. ნაცვლად 66.000 კილოგრამისა, მოკრეფილია 68.000 კილოგრამი ჩაი, გეგმის 104 პროცენტი.

გ. სიხარულიძე

* * *

ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ 29 ივნისს 100,8 პროცენტით შეასრულა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის თვისის გეგმა მაისს დანაკლისის ჩათვლით. გეგმით უნდა მოკრეფილიყო 356.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, ფაქტიურად მოკრეფილია და ფაბრიკას ჩაბარდა 359.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ყაფეიშვილი

დღეგზე

ჩერჩილის გამოსვლა

ლონდონი, 30 ივნისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს ლონდონის მუნიციპალიტეტში ჩერჩილის მიერ წარმოთქმული სიტყვის მოკლე შინაარსს. თავის სიტყვაში ჩერჩილმა აღნიშნა მარმეტყველა „ბაატორებული ბრძოლები ხმელთაშუა ზღვაში და სხვა რაიონებში შემოდგომის დაწყებამდე“.

ჩერჩილმა განაცხადა, რომ მაისში ატლანტიკაში მოსპობილ იქნა 30-ზე მეტი წყალქვეშა ნავი, მაშინ როდესაც ივნისში გაერთიანებულთ ერების მიერ ახალი გემების გამოშვებამ 7-10-ჯერ გადააჭარბა მტრის მიერ ჩაძირულ მოყენებულ ზარალს. მაისის შუა რიცხვებიდან ატლანტის ოკეანის მთელ ჩრდილოეთ ნაწილში საეჭვოა, რომ თუნდაც ერთი სავაჭრო გემი ყოფილიყოს ჩაძირული.

ჩერჩილი შეეხო რურის დაბომბვას და სთქვა: „იმის მიხედვით, რაც ღამეები მატულობს, ხოლო შეერთებული შტატების საჰაერო ძალები იზრდება, გერმანიაში არ იქნება მრეწველობის ისეთი, დარგი ან სამხედრო ობიექტი, რომლებმაც უაღრესად ძლიერი დარტყმა არ განიცადონ მზარდი საჰაერო ძალებისაგან“.

მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 2 ივლისი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ 30 ივნისს ღამით მოკავშირეთა ბომბდამშენები თავს დაესხნენ უაზარმეისა და რკინიგზის სადგურს კალიარში (სარდინია).

რეიტერის სააგენტოს ცნობით, 1 ივლისს ინგლისის ავიაგამანადგურებლებმა იერიში მიიტანეს მტრის საჰაერო გემებზე გუკ ფან ჰოლანდის (ჰოლანდია) კონცხის ახლოს, და ჩაატარეს ბრძოლა საესკორტო გემთან, რომელიც მტრის გემების ქარავანს ახლდა. დაზიანდა მტრის 3 საშუალო ზომის სავაჭრო გემი და 4 ნაღმის ტრალერი.

ომი წყნარ ოკეანეში

ლონდონი, 2 ივლისი (საკდესი). წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების გაერთიანებული სარდლობის შტაბი იუწყება, რომ 30 ივნისს დილით რენდოვის კუნძულზე გადასულმა ამერიკის ჯარებმა იმავე დღის საღამოსათვის დაამთავრეს კუნძულის დაკავების ოპერაციები, ამასთან ამოსწყვიტეს იაპონელთა გარნიზონი. მოკავშირეთა წყალზედა გემებმა და მოპაკირე ბომბდამშენებმა დაუშინეს იაპონელთა ბაზებს ვილაში კოლომბანგარის კუნძულზე და მუნდაში ახალ გეორგიაზე. ამერიკის წყალზედა ფლოტის სხვა შეიარაღებმა დაბომბეს იაპონელთა პოზიციები ბალალე-ფაისის კუნძულთა რაიონში. დღის განმავლობაში იაპონელთა ავიაციამ მოაწყო კონტრიერიშები, რომლების დროსაც საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია იაპონიის 101 თვითმფრინავი. მოკავშირეთა ავიაციამ 17 თვითმფრინავი დაკარგა.

ნასაუს ყურეში (ახალი გვინეა) მოკავშირეთა ჯარები თავიანთ პოზიციებზე მაგრდებოდნენ წინასწარ შემუშავებული გეგმის თანახმად. მოკავშირეთა ავიაციას მეიდრო ურთიერთმოქმედება ჰქონდა სახმელეთო ჯარებთან და იერიშს მიჰქონდა იაპონელთა თავდაცვის ხაზებზე.

ნიუ-იორკი, 2 ივლისი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო სამინისტრო იუწყება, რომ ამერიკის ჯარებმა, რომელნიც ახალ გეორგიაზე გადასხდნენ, დაიკავეს ნავსადგური ვირუ (მუნდას ახლოს).

გაფრთხილება ჰიტლერის ფრანგ ლაქიებს

ლონდონი, 2 ივლისი (საკდესი). როგორც აფის სააგენტო გადმოგვცემს, საფრანგეთის ხელისუფლებმა ჩრდილოეთ აფრიკაში ალჟირის რადიოთი გადასცეს „გაფრთხილება საფრანგეთის მტრებისა—გერმანელების, იტალიელებისა და მათი ვიშელი და პარიზელი მეგობრებისადმი“. რადიოგადაცემაში ნათქვამია, რომ საფრანგეთში მყოფი იმ სახელმწიფო მოსამსახურეების, ჯარისკაცებისა და ოფიცრებისადმი, რომელნიც უარს ამბობენ გერმანელებთან და იტალიელებთან „თანამშრომლობაზე“, ოკუპანტები სასტიკ რეპრესიებს მიმართავენ. რეპრესიები თავს ატყდება ფრანგი პატრიოტების ოჯახებსაც. ოკუპანტები ახორციელებენ ტერორს ფრანგი პატრიოტების წინააღმდეგ ვიშის ხელისუფალთა თანამონაწილეობით. „ვაფრთხილებთ გესტაპოს ამ თანამონაწილეთ,—ნათქვამია რადიოგადაცემაში,—რომ მათი ყველა დანაშაული გულმოდგინედ აღინუსხება და რომ ყოველი ფრანგი მოხელე, რომელიც თავის სისაძაგლეს გამოამჟღავნებს და თავის თანამემამულეთ გასცემს, პასუხს აგებს ამისათვის. ეს გამცემნი დაისჯებიან“.

ბერძენი პარტიზანები გამანადგურებლად ურჯყამენ იტალიელ და გერმანელ ოკუპანტებს

ლონდონი, 2 ივლისი (საკდესი). ბერძენი პატრიოტები შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევენ იტალიელ და გერმანელ ოკუპანტებს და გამანადგურებელ დარტყმებს აგემებენ მათ. ლონდონის ბერძენთა წრეების მიერ მიღებული ცნობების თანახმად, ბერძენ პარტიზანებს დღემდე თავის ხელში უკავიათ ქალაქი კალაბაკუ (თესალია) და ამ ქალაქის ირგვლივ მდებარე მაღლობები. ამ ქალაქში შეჭრის უშედეგო ცდის შემდეგ იტალიის ჯარებმა ტრიკალაში დაიხიეს. პარტიზანთა მიძალების გამო იტალიელები იძულებული იყვნენ დაეცალათ ქალაქი მეტეორონიდან უკანდახევისას პარტიზანთა დარტყმების გამო იტალიელები ჩასაფრებულ რაზმს წაადწყდნენ და მნიშვნელოვანი ზარალი მოუვიდათ.

ამჟამად ბერძენი პატრიოტები მხოლოდ 20 მილზე იმყოფებიან იტალიის ჯარების 31-ე კორპუსთან და კონტროლს უწევენ მნიშვნელოვან ველს, რომელიც ერთმანეთს უკავშირებს ქალაქ ტრიკალას (თესალია) და ლანინასთან.

უცხოეთის ქრონიკა

ვიშის „მთავრობამ“, რომელიც დაარსა საფრანგეთის არალეგალური პატრიოტული ორგანიზაციების საქმიანობის აქტივიზაციამ, შეჭმნა საპოლიციო კორპუსი, რომელიც 50.000 კაცისაგან შესდგება.

ამ უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში მოკავშირეებმა გერმანიას დააყარეს 37.500 ტონა საერთო წონის ბომბები—ერთი სამად მეტი, ვიდრე შარშანდელი წლის იმავე პერიოდში.

ექიმის რჩევა-დარიგება

ბავშვთა ზაფხულის სნეულებანი

არც ერთი სხვა დაავადება ისე ფართოდ არ ვრცელდება მოსახლეობაში, როგორც კუჭნაწლავების, დაავადებანი; განსაკუთრებით ხშირად განიცდიან ამ ავადმყოფობას პატარა ბავშვები 1-დან 5 წლამდე. ყოველ ზაფხულს, განსაკუთრებით სიცხეების დროს, მნიშვნელოვნად იზრდება კუჭის აშლილობით დაავადებულ ბავშვთა რიცხვი. ამის მიზეზია ცუდი მოვლა და არასწორი კვება. ზაფხულის კუჭაშლილობით ყველაზე ხშირად ავად ხდებიან ის ბავშვები, რომლებსაც ხელოვნურად ჰკვებავენ და მათი დაავადებაც უფრო მძიმე ხასიათს ატარებს. ამიტომ დედის რძით კვებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ზაფხულში ბავშვების კუჭის აშლილობისაგან დასაცავად.

ამ ავადმყოფობასთან ბრძოლის საუკეთესო საშუალებაა მისი პროფილაქტიკა, რადგან კუჭაშლილობის მთავარი წყაროა არასწორი კვება და ამა თუ იმ მიკრობით ინფექციის შეტანა.

ზაფხულის კუჭაშლილობასთან ბრძოლა უნდა დაიწყოთ ჯერ კიდევ გაზაფხულზე მთელ რიგ პროფილაქტიკურ საშუალებათა გატარებით: ჭუჭყისა და სიბინძურისაგან ეზოების გაწმენდა, ბრძოლა ბუზებთან, რომლებიც თანდათან უფრო მრავლდებიან, დედებისათვის განმარტების მიცემა ბავშვის წესიერი კვების შესახებ, რჩევა უნდა მიეცეს დედებს არავითარ შემთხვევაში ზაფხულობით არ მოსწყვიტონ ბავშვი ძუძუს. გარდა ამისა, დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ბავშვებისათვის, რომლებიც ხელოვნურ კვებაზე არიან, კარგი ხარისხის რძის მიცემას.

არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ზაფხულობით ბავშვებისათვის ზედმეტი შმეცა. საჭმელის ერთი მიღებიდან მეორე მიღებამდე ბავშვს უნდა ვასვათ ცივი ნადუღი წყალი. ხილი ბავშვს შეიძლება მივცეთ მხოლოდ წინასწარ გულმოდგინედ გარეცხილი ადუღებული წყლით. ბავშვის მთელი ჭურჭელი და საკმელი პროდუქტები დაცულ უნდა იქნას ბუზებისაგან.

ზაფხულში ბავშვთა კუჭაშლილობის მეორე მიზეზს წარმოადგენს სიცხე, რადგან მზე ძლიერ მოქმედებს მათს ორგანიზმზე. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ბავშვებისათვის მზის აბაზანების გაკეთება. ბავშვი უნდა ვიყოლიოთ ჩრდილში, დავაწვინოთ ქარისა და ცივისაგან დაცულ ადგილას. არ შეიძლება ბავშვის ყოლა ოთახში, სადაც ჰაერი გაწმენდილი არ არის. გარდა ამისა, ბავშვს არ უნდა ვფუთავდეთ თბილ ტანსაცმელსა და საბანში. მისი ტანსაცმელი მსუბუქი უნდა იყოს, მოძრაობას არ უნდა უშლიდეს და ჰაერს არ უბამდეს სხეულს. ბავშვი უნდა დაიცვათ ბუზებისაგან, რომლებიც ყოველგვარ ბაქტერიებს ავრცელებენ.

ზაფხულის კუჭაშლილობის პირველ ნიშანს წარმოადგენს ბავშვის მოუსვენრობა, მადის დაკარგვა, ჟინიანობა, ტემპერატურის მცირე აწევა, ცუდი ძილი, ვარეთ გასვლის გაბმირება და ღებინება.

როგორც კი ბავშვს ასეთი ნიშნები ეამოაჩნდება, საჭიროა რჩევისათვის მივმართოთ ექიმს.

ნ. ზ. უმიკოვი

საქ. სსრ დამსახურებული ექიმი, სამედიცინო მეცნიერებათა დოქტორი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში

ჭრილობათა შეხორცების შესწავლა ზოოლოგიის ინსტიტუტში

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტი დიდ მუშაობას ეწევა ადამიანის ჭრილობათა შეხორცების შესასწავლად. მუშაობას ხელმძღვანელობს ორგანიზმთა განვითარების მექანიკის ლაბორატორიის უფროსი, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი პ. ჭანტურიშვილი.

ჭრილობების შეხორცების სტიმულაციის მიზნით გამოყენებული იყო ემბრიონების ქსოვილებისა და ემბრიონების გარეშე ორგანთა კონსერვატები. მიღებული შედეგები ფრიად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა როგორც ბიოლოგებისათვის, ისე ექიმებისთვისაც.

კონსერვატების გამოყენებით შესაძლებელი ხდება ჭრილობის შეხორცების ეგრეთწოდებული ლატენტური (საწყისი) პერიოდის მაქსიმალურად შეკვეცა და შეხორცების დაჩქარება 35-40 პროცენტით. კანის ინფიცირებულ ჭრილობებს, რომელთა მოედანი 120 კვ. სანტიმეტრს აღემატება, კონსერვატი არა მარტო გასწმენდს, არამედ ხელს უშლის შემდგომში ამ ჭრილობებზე ნეკროტული (გახრწნის) მოვლენების გაღრმავებას

დადგენილია, რომ ზოგი კონსერვატი აღმოჩენილია ფრიად მნიშვნელოვანი გრანულაციების (შეხორცების) მაქტივირებელი თვისებით.

კონსერვატებით მკურნალობის დროს ბევრ ადგილებში ჭრილობებს, ორნაირადაც ამ ტკბილის და მაგასადამე ამ საფენების-აღებულსა ჭრილობიბის განმეორებითი ოპერაციებ არ ხდება, რაც ბევრად აჩქარებს ნაის შეხორცებას.

საფენების გამოცვლა ჭრილობებზე, კონსერვატებით მკურნალობის დროს, შესაძლებელია 5-6 დღეში ერთხელ და არა ერთი დღის გამოშვებით, როგორც ამას სხვა საშუალებებით მკურნალობის დროს აკეთებენ ხოლმე. ეს კი შესაძლებელ მასალის ფრიად მნიშვნელოვან ეკონომიას გვაძლევს.

ამ საკითხებისადმი მიძღვნილი საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის ლია სხდომა, რომელიც ამ დღეებში შესდგება. ჩატარებული მუშაობის შესახებ სხდომაზე მოხსენებებს წაიკითხავენ: უფრ. მეცნ. მუშაკი პ. ჭანტურიშვილი — „ჭრილობათა შეხორცების ტიპიური და დაჩქარებული პროცესის მაკრომორფოლოგიის შედარებითი შესწავლის ზოგიერთი შედეგი“; პროფ. სადოვსკი—„კანის ჭრილობათა შეხორცების დინამიკისათვის“, უფრ. მეცნ. მუშაკი ა. მაჩაბელი — „ზოგიერთი მონაცემები ემბრიონული სისტლის გავლენის შესახებ ჭრილობათა შეხორცებაზე“; უფრ. მეცნ. მუშაკი ნ. მანუილოვი—„პლაცენტის გავლენა კანის ჭრილობათა შეხორცებაზე“.

მზადება ფიზკულტურის საკავშირო დღისათვის

უკვე ერთ თვეზე მეტია, რაც საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაციები ფართოდ შეუდგნენ მზადებას ფიზკულტურელის საკავშირო დღისათვის—18 ივლისისათვის. ამ მზადების განმავლობაში ფიზკულტურულ ორგანიზაციებს მთავარ საბრძოლო ამოცანად დასახული აქვთ პირველი და მეორე საფეხურის ნორმების მისაღებად მოამზადონ ყველა წევრამდელი და არ დასტოვონ ჯარში გასაწვევი არც ერთი ახალგაზრდა, რომელიც ვერ შესძლებს ნორმების ჩაბარებას პირველი. საფეხურის ნიშნის მიღებაზე. ამ ამოცანის წარმატებით შესრულებაში რესპუბლიკის რაიონების ფიზკულტურულ ორგანიზაციებს შორის გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება. ნიშნავს, განსაკუთრებით ხელმართული ბრძოლის კარგად მკოდნეების მომზადებაში ჯერჯერობით მოწინავე ადგილზე არიან გურჯაანის, საჩხერის, აბაშის და ადიგენის რაიონული ფიზკულტურული ორგანიზაციები, რომელთაც დიდ დახმარებას უწევენ ადგილობრივი რაიონული პარტიული და საბჭოთა ორგანოები. იგივე არ ითქმის ბორჩალოს და ცაგერის ფიზკულტურულ ორგანიზაციებზე. ნიშნოსნების მომზადება, რაც დიდმნიშვნელოვანი და სერიოზული ამოცანაა სამამულო ომის ვითარებაში, ამ რაიონებში არადამაკმაყოფილებლად სრულდება.

ამჟამად იმართება სხვადასხვა რაიონებისა და ქალაქების ფიზკულტურელთა შეჯვედრება, სპორტულ მიღწევათა მასობრივი ნორმენება, სწარმოებს შეჯიბრებები ფეხბურთში, ხელჩართულ ბრძოლაში, მსუბუქ და მძიმე ატლეტიკაში, გასამხედროებულ ცურვაში, ფრენბურთში და სხვ.

საქართველოს საუკეთესო ტანმოვარჯიშენი და მოკრივეები უკვე შეუდგნენ ვარჯიშს ფიზკულტურელის საკავშირო დღისათვის განზრახული ტანმოვარჯიშეთა და მოკრივეთა საკავშირო შეჯიბრებისათვის. საქართველოს ტანმოვარჯიშეთა გუნდში, რომელიც მონაწილეობას მიიღებს საკავშირო შეჯიბრებაში, შედიან ორდენოსნები გ. ოდილაძე და ა. ჯორჯაძე, საქართველოს ჩემპიონი კ. თაყაიშვილი, თინა ქოიავა, ოლგა მიქელაძე და სხვ.

მოკრივეთა შორის აბსოლუტური პირველობისათვის შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად ემზადებიან საქართველოს გამოჩენილი მოკრივეები ლ. ლუდუშაური და ა. ნავასარდოვი.

18 ივლისისათვის ფართო მზადებას შეუდგნენ საქართველოს ალპინისტები. ამ დღის აღსანიშნავად მათ გადაწყვეტილი აქვთ მოახლინონ ასვლები კავკასიონის რამდენიმე მწვერვალზე. ასვლებს უხელმძღვანელებს სპორტის დამსახურებული ოსტატი ალ. ჯაფარიძე.

ორი რესპუბლიკური რეკორდი

27 ივნისს თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა ფიზკულტურული დღესასწაული, რომელიც მიძღვნილი იყო ფიზკულტურელის საკავშირო დღისადმი. დღესასწაული დაიწყო „დინამოს“ (ოსტატები) და წითელი არმიის სახლის ფეხბურთელთა შეჯიბრებით. შეჯიბრება დამთავრდა 6:0 „დინამოს“ ფეხბურთელთა სასარგებლოდ.

აქვე მიეწყო შეჯიბრება მსუბუქ ატლეტიკაში. ამ შეჯიბრების დროს დამყარებულ იქნა ორი რესპუბლიკური რეკორდი. სიმაღლეზე ხტომაში ქალიშვილებს შორის რეკორდი დაამყარა ნადეედა ზაკუტოვამ, რომელმაც გარბენით ხტომაში მიაღწია 138,5 სანტიმეტრ სიმაღლეს.

მეორე რესპუბლიკური რეკორდი გრანატების კონის ტყორცნაში დაამყარა თბილისის განათლების განყოფილების ცენტრალური სასპორტო სკოლის მოსწავლე გოგონამ დარიკო გოგაძემ, რომელმაც გრანატებს კონა 19 მეტრსა და 70 სანტიმეტრზე სტყორცნა.

მეგობრობა ფაშისტურ ბანაკში

ზედიზედ მიჰქრის ზაფხულის დღეები. აი უკვე ორმა წელმა განვლო იმ დღიდან, რაც გერმანელ ფაშისტთა ურდოები ვერაგულად თავს დაესხნენ ჩვენს ქვეყანას. ოპერატიული სიწყნარე მთავარ და გადამწყვეტ ფრონტზე — საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ჯერ კიდევ არ გათავებულა, მაგრამ ჰიტლერ ბეჟა-ქუხილის სუნი ტრიალებს. როგორც ალბატროსები და მეთოვლეები ქარიშხლის წინ გუნდებად ეფარავენ ცის კამარას, ისე ახლაც ცა სავსეა ათასობით საბრძოლო თვითმფრინავებით. საპაერო ომი სულ უფრო და უფრო მეტ გაჯანსაღებას იღებს, სულ უფრო და უფრო გაფთრებული ხდება და წინამორბედია ცხარე შეტაკებებისა ხმელეთზე, ახალი სისხლისმღვრელი ბრძოლებისა, რომლებისთვისაც ორივე მხარე ემზადება.

რას წარმოადგენს მტრის ბანაკი საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ომის ორი წლის შემდეგ?

ჰიტლერული არმია, ისევე როგორც ჰიტლერის ვასალური ქვეყნების არმიები, ძალზე შეგერტყილი გამოვიდა ზამთრის კამპანიიდან. რუმინეთმა დაკარგა 22 დივიზია, ესე იგი ბერმანელთა დასახმარებლად გაგზავნილი მთელი არმია. უნგრეთმა დაკარგა 13 დივიზია, და ახლა უნგრეთის მთავრობა „ეკესტს“ აკეთებს და საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტიდან უკან იწვევს ადრე არსებულ მეორე არმიას. იტალიამ 10 დივიზია დაკარგა და მანაც „გაიწვია უკან“ ადრ არსებული მერვე არმია, რომელიც წითელი არმიის წინააღმდეგ იბრძოდა.

რაც შეეხება თვით ჰიტლერულ არმიას, მანაც უდიდესი ზარალი განიცადა. წითელი არმიის მარტო ზამთრის შეტევის ოთხი თვის განმავლობაში გერმანელებმა 1.200.000 კაცი დაკარგეს მოკლულთა, დაჭრილთა და ტყვეთა სახით, ესე იგი ორნახევარჯერ მეტი, ვიდრე 1941-1942 წლის ზამთრის კამპანიის მსვლელობაში. ზარალი ტექნიკის მხრივ, რაც გერმანელ ფაშისტთა არმიამ წითელი არმიის 1942-1943 წლის ზამთრის შეტევის პერიოდში განიცადა, 2-3-ჯერ აღემატება იმ ზარალს, რაც მას წინა წლის ზამთრში მოუვიდა. სულ კი ორი წლის ომის განმავლობაში ჯერ კიდევ ძლიერნი არიან, ისინი გაეღენთნიერი არიან გულდვარძლიანი გადაწყვეტილებით—იბრძოლონ თავიანთი ტყავისათვის თავაწყვეტილ მოთამაშეთა მთელი სასოწარკვეთილებით. მათ ჯერ კიდევ ეყოფათ ძალები ყველაზე შავბნელი ბოროტმოქმედების ჩასადენად თავიანთი დანაშაულებრივი მიზნებისათვის. მაგრამ ახალი ბრძოლებისათვის მზადება და ძალების შეგროვება ჰიტლერელებისათვის წინანდელზე გაცილებით უფრო ძნელი გახდა. ფაშისტთა ბანაკში თანხმობა არ არის. და თუ შარშან საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე 60-ზე მეტი ვასალური დივიზია იყო, წელს მხოლოდ 30 ასეთი დივიზია დარჩა.

ჰიტლერული გერმანიის პრესტიჟი ყბადაღებული „ღერძის“ მომხრე სახელმწიფოთა შორის მკვეთრად დაეცა. ყველას თვალწინ აქვს მაგალითი იტალიისა, რომელმაც გერმანიასთან „თანამშრომლობის“ შედეგად მთელი თავისი კოლონიები დაკარგა და უკვე იწყებს თავის ევროპული ტერიტორიის დაკარგვას. მას უშაოლო დარტყმა ემუქრება და არ შეუძლია თავისი გერმანელი პარტნიორის მხრივ რამდენადმე სერიოზული დახმარების �aოდ იმონიოს. ამის გაგლენით ყველაზე მორჩილი ჰიტლერული ლაქია ანტონესკუც კი დიდის გაჭირვებით აძლევს ჰიტლერს ახალ ჯარებს. ამით აიხსნება ისიც, რომ უნგრეთის ჰიტლერისათვის დღემდე არ გაუცია პასუხი, ჰგზავნის თუ არა იგი ჯარებს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე.

სამხედრო-სტრატეგიული ვითარება ევროპაში მკვეთრად შეიცვალა არა ჰიტლერული ბანდიტური კოალიციის სასარგებლოდ. გერმანელებმა არ იცი